ეპიდემიოლოგიური მაცნე

ოქტომბერი, 2018

შეტყობინებები

<u>მაიმუნის ყვავილის ორი იმპორტირებული შემთხვევა გაერთიანებულ სამეფოში</u>



2018 წლის 8 სექტემბრის მონაცემებით დიდ ბრიტანეთში პირველად დაფიქსირდა მაიმუნის ყვავილის შემთხვევა. ინფიცირებული ადამიანი არის ნიგერიის მოქალაქე, რომლის ინფორმაციითაც, მისი ინფიცირება მოხდა გაერთიანებულ სამეფოში გამგზავრებამდე. 11 სექტემბერს დაფიქსირდა მაიმუნის ყვავილის კიდევ ერთი შემთხვევა. აღნიშნული პაციენტი ნიგერიაში მოგზაურობის შემდეგ 4 სექტემბერს დაბრუნდა გაერთიანებულ სამეფოში. პაციენტის მკურნალობა მიმდინარეობს მაღალი დონის ინფექციურ საავადმყოფოში (ლივერპულის სამეფო საავადმყოფო).

მას შემდეგ, რაც 2017 წელს მაიმუნის ყვავილი აღმოცენდა ნიგერიაში, ნიგერიის დაავადებათა კონტროლის ცენტრი ქვეყნის მასშტაბით დაავადების შემთხვევებთან დაკავშირებით მუდმივად ღებულობს შეტყობინებებს. ნიგერიის ეპიდაფეთქებისას, 26 შტატის ტერიტორიაზე, 2017 - 2018 წლის 31 აგვისტოს მონაკვეთში დაფიქსირდა მაიმუნის ყვავილის 262 საეჭვო შემთხვევა. ამ შემთხვევებიდან, 16 შტატში დაფიქსირდა 113 დადასტურებული შემთხვევა, მათ შორის 6 გარდაცვალება.

გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლები დაუკავშირდნენ პირველი შემთხვევის კონტაქტებს (თვიმფრინავში მის ირგვლივ სამ რიგში წინ და უკან მსხდომებს) და მიაწოდეს ინფორმაცია არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ასევე უზრუნველჰყვეს მათთვის ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული რჩევების მიწოდება. მუდმივად ხდება სამედიცინო პერსონალის კონტროლი, რათა არ მოხდეს პირადი დაცვის აღჭურვილობის

არასწორი მოხმარება. მეორე შემთხვევის კონტაქტების მოძიება (თვითფრინავის ბორტზე მყოფი მგზავრების და სამედიცინო პერსონალის) კვლავ გრძელდება.

გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის წარმომადგენლობა მუდმივ კავშირზე იმყოფება ნიგერიის ჯანდაცვის და დაავადებათა კონტროლის სამინისტროსთან. ორივე ქვეყნის წარმომადგენლობა ასევე იძიებს შემთხვევების ნიგერიაში ყოფნისას გადადგილების დეტალებს. კონტაქტების პასიური ზედამხედველობა სავალდებულოა ექსპოზიციის შემდგომ 21 დღის განმავლობაში.

ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრის განცხადებით, მაიმუნის ყვავილის ორი შემთხვევის დაფიქსირება დროის ხანმოკლე პერიოდში საკმაოდ უჩვეულოა. მიუხედავად ამისა დაავადების ზოგად პოპულაციაში გავრცელების საფრთხე დაბალია, რადგან მაიმუნის ყვავილი ადამიანიდან ადამიანზე საკმაოდ რთულად გადაეცემა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მისამართი: კახეთის გზატკეცილი, ალექსეევკის დასახლება N3 0198
ცხელი ხაზი: 116 001
ელ-ფოსტა : pr.ncdc@ncdc.ge

Follow NCDC